ალლაჰის წყევლა ებრაელებზე და ქრისტიანებზე, რომლებმაც თავიანთი წინასწარმეტყველების საფლავები სალოცავებად აქციეს

აიშასა და აბდულლაჰ იბნ 'აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მათ თქვეს: როდესაც მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აღსასრული მოახლოვდა, ის ხალათს სახეზე იფარებდა. როცა ხალათი მას ტვირთად მოეჩვენებოდა, სახიდან იხსნიდა და ამ მდგომარეობაში თქვა: «ალლაჰის წყევლა ებრაელებზე და ქრისტიანებზე, რომლებმაც თავიანთი წინასწარმეტყველების საფლავები სალოცავებად აქციეს». ამ სიტყვებით მათ აფრთხილებდა იმ საქციელისთვის, რასაც ისინი ჩადიოდნენ.
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

'აიშა და აბდულლაჰ იბნ 'აბბასი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გვამცნობენ, რომ მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გარდაცვალების დროს, ის სახეზე ქსოვილს იფარებდა. როცა სიკვდილის ტკივილისგან სუნთქვა გაუძნელდებოდა, ქსოვილს სახიდან იხსნიდა. ასეთ მძიმე მდგომარეობაში მან თქვა: ალლაჰის წყევლა ებრაელებზე და ქრისტიანებზე, რომლებმაც თავიანთი წინასწარმეტყველების საფლავებზე სალოცავები ააშენეს. ეს გაფრთხილება იყო მისი ხალხის მიმართ, რათა მათ არ დამსგავსებოდნენ ებრაელებსა და ქრისტიანებს. ასეთი ქცევა დიდებულ და ძლევამოსილ ალლაჰზე თანაზიარის დადგენის გზას ხსნის.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3330